4
ი-556

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

---

ხელნაწერის უფლებით

მაია ფარნაოზის ასული ინჯუაშვილი

# პაროდია ძველი ატიკური კომედიის სტრუქტურაში
## (ძველი ბერძნული პაროდია ეპოსიდან კომედიამდე)

სპეციალობა: 10.01.03 - კლასიკური ფილოლოგია

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ო   მ ა ც ნ ე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1993

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე.

მეცნიერ-ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ურუშაძე

ოფიციალური ოპონენტები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. მიმინოშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ. ტონია

დისერტაციის დაცვა შედგება 1993 წლის "---" "---" "----" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს ( PG 10.01 CN 10-1 ) სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნილია ".--" "--" 1993 წელს.

სპეციალიზებული საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ი. ბერძენიშვილი)

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

– 1133 –

<u>თემის აქტუალობა.</u> ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში პაროდიის აღმოცენებისა და ფორმირების საკითხი დიდ დისკუსიას იწვევს თანამედროვე კლასიკური ფილოლოგიის მკვლევართა შორის. კამათი მიმდინარეობს პაროდიის გენეზისის, ეტიმოლოგიის, დეფინიციისა და დეტერმინაციის, ძველბერძნულ ეპოსთან და ძველატიკურ დრამასთან პაროდიის მიმართულებისა და სხვა საკითხთა გარშემო. მათ გარკვევასთან დაკავშირებულია მრავალი პრობლემა, რომელთა საფუძვლიანი კვლევის გარეშე წარმოუდგენელია რიგ მნიშვნელოვან ლიტერატურათმცოდნეობით საკითხზე პასუხის გაცემა, საუკუნეების მანძილზე ეგზომ რომ აინტერესებდათ ანტიკური კულტურის მკვლევართ.

რადგან ძველბერძნული პაროდიის კვლევა საკმაოდ დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული და მოითხოვს მთლიანობაში იქნეს წარმოდგენილი ძველი მწერლობის ის ნაკადი, რომელიც სატირულსა და იუმორისტულ ნაწარმოებებში ვლინდება და, რითაც ესოდენ მდიდარია არქაული, კლასიკური და ელინისტური პერიოდების ძველი ბერძნული მწერლობის თითქმის ყველა ჟანრი: ეპოსი, ლირიკა, დრამა, ამიტომ სადისერტაციო ნაშრომში შემოვიფარგლეთ მხოლოდ ძველი ბერძნული პაროდიის გენეზისის, დეფინიციის, ძველბერძნულ ეპოსთან და ძველატიკურ კომედიასთან მიმართების საკითხთა კვლევით; შევეცადეთ ძველი ბერძნული ეპოსიდან კომედიამდე პაროდიის თავისებურებანი წარმოგვეჩინა უმთავრესად არისტოფანეს კომედიების საფუძვლიანი ანალიზით, გამოგვეყენა პაროდია, როგორც არისტოფანეს კომედიის სტრუქტურის სუბსტანციური ელემენტი, გვეჩვენებინა პარატრაგედიის როლი და დანიშნულება კომედიაში.

ძველატიკური დრამის კვლევასთან დაკავშირებულ საკითხთა სირთულემ განაპირობა ცალკე ქვეთავებად გამოგვეყო მითოლოგიუ-